საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

ბიულეტენი

კენჭისყრა - 17.06.2021
თანახმა ხართ თუ არა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატად საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილ იქნეს ბიძინა სტურუა?
დიახ არა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის ბიძინა სტურუას წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების

დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 7 ოქტომბრის N1/134 განკარგულებით დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა. აღნიშნულ პროცედურაში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 5 ნოემბრის N1/141 განკარგულებით კანდიდატად დარეგისტრირდა ბიძინა სტურუა.

აღსანიშნავია, რომ საერთო სასამართლოების შესახებ „საქართველოს ორგანული კანონის" (შემდგომში - ორგანული კანონი) 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრული წესის შესაბამისად, 2021 წლის 28 მაისს შევადგინე პროცედურაში მონაწილე ყველა კანდიდატის, მათ შორის, ბიძინა სტურუას შეფასების დასაბუთება. აღნიშნული დასაბუთება დაეყრდნო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მიერ ორგანული კანონის 34^2 მუხლის საფუძველზე კანდიდატის შესახებ მოძიებულ ინფორმაციას, ბიძინა სტურუას მიერ წარმოდგენილ სამართლებრივ დოკუმენტს და საჯარო მოსმენაზე მის მიერ გამოვლენილ თვისებებსა და მახასიათებლებს. ინფორმაციის ანალიზისა და შეჯერების შედეგად კი მივიჩნიე, რომ ბიძინა სტურუა ორგანული კანონით განსაზღვრული კეთილსინდისიერების კრიტერიუმის თითოეული მახასიათებლის მიმართ უნდა შეფასდეს დადებითად, შესაბამისად გავაკეთე დასკვნა, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. ამასთან, კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას, ბიძინა სტურუას ორგანული კანონის 36^4 მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული წესის თანახმად, თითოეულ კომპონენტში მივანიჭე შესაბამისი ქულა, რის შედეგადაც მან ჯამში მიიღო საკმაოდ მაღალი - 96 ქულა, რაც ორგანული კანონით გათვალისწინებული მაქსიმალური ქულის 96%-ს შეადგენს.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2021 წლის 1 ივნისის N1/41 განკარგულებით უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევის შემდგომ ეტაპზე გადავიდა 9 კანდიდატი, მათ შორის,

ბიძინა სტურუა. ამასთან, აღნიშნული განკარგულება უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატაში გაასაჩივრა კანდიდატმა - ირაკლი ქსოვრელმა. თუმცა, პალატის 2021 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილებით, საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განკარგულება დარჩა უცვლელი. შესაბამისად, ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-13 პუნქტით დადგენილი წესის თანახმად, 2021 წლის 17 ივნისს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ჩაატარა ღია კენჭისყრა, სადაც გადაწყდა მითითებული 9 კანდიდატის პარლამენტისთვის უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად წარდგენის საკითხი.

ამრიგად, 2021 წლის 17 ივნისს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ჩატარებულ ღია კენჭისყრაზე უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად პარლამენტისთვის წარსადგენად - ბიძინა სტურუას მხარი დავუჭირე. ვინაიდან, მიმაჩნია, რომ იგი მისი ცოდნის, კომპეტენციის, პროფესიული გამოცდილების, პროფესიული თვისებების, აკადემიური მიღწევების, გამოვლენილი უნარ-ჩვევებისა და სხვა მნიშვნელოვანი მახასიათებლების გათვალისწინებით, ღირსეულად შეასრულებს უზენაესი სასამართლოს მოსამართლისთვის დაკისრებულ რთულ და საპასუხისმგებლო საქმიანობას.

სახელი, გვარი: ნიკოლოზ მარსაგიშვილი

ხელმოწერა:

თარიღი: 17/06-2021